ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 7-30

6 აპრილი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრისN16-32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

საქართველოს ორგანული კანონისადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტისა და 2014 წლის 15 იანვრის საქართველოს მთავრობის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-32 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; ვებგვერდი, 09/12/2014;სარეგისტრაციო კოდი N010260030.35.101.016035) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე–2 მუხლის პირველი და მე–2პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე–მერი).

2. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 3 წევრი;

გ)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;

დ) ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;

ე)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ამავე დეპარტამენტის 1 წარმომადგენელი;

ვ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;

ზ) საბჭოს შემადგენლობაში შედიან მოწვეული ექსპერტები, რომლებიც არ არიან საჯარო მოსამსახურეები.".

2.მე–4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.საბჭოს თავმჯდომარე არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე–მერი).".

3. მე–7 მუხლის მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბჭოს აპარატის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო სამსახურის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლები.".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

განმარტებითიბარათი

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილებისპროექტთან დაკავშირებით

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

პროექტის მიღება განაპირობა სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას დამკვეთის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების გამოანგარიშებასა და გადახდაზე მონიტორნგის დაწესების, აგრეთვე, საბჭოს შემადგენლობის ცვლილების საჭიროებამ.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4–13 გადაწყვეტილების 25-ე მუხლის თანახმად, სპეციალური ზონალური შეთანხმება ითვალისწინებს კონკრეტული მიწის ნაკვეთებისათვის განაშენიანებისა (კ-1) და განაშენიანების ინტენსიურობის (კ-2) კოეფიციენტების მაჩვენებლების გაზრდას, აგრეთვე გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებას, რომელნიც ამ წესების მოთხოვნებით საჭიროებენ სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას. ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე.

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გათვალისწინებულია მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის. აღნიშნული კანონის 12² მუხლის თანახმად, „სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც განაშენიანების ინტენსიურობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით, მიიღო სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. მოსაკრებლის შემოღების უფლება აქვს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს."

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებით, განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთები და გადახდის ინსტრუქცია.თუმცა, დღეისათვის არ არსებობს მექანიზმი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამკვეთის მიერ მოსაკრებლის გამოანგარიშების სისწორესა და მის გადახდას.

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-32 დადგენილების თანახმად,საბჭო წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის საკონსულტაციო ორგანოს, რომელსაც ჰყავს აპარატი, საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით. გამომდინარე აღნიშნულიდან, ვინაიდან საბჭოს ერთ–ერთ ფუნქციას წარმოადგენს სპეციალური ზონალური შეთანხმების თაობაზე შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება, აგრეთვე, მთავრობისათვის კონსულტაციების გაწევა, მიზანშეწონილია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის 12² მუხლით გათვალისწინებული მოსაკრებლის გადახდაზე კონტროლის მიზნით, აპარატის შემადგენლობას დაემატოს თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისწარმომადგენელი.

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოსაპარატის შემადგენლობაში შესაძლებელი იქნება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისწარმომადგენელის (წარმომადგენლების) შეყვანა, რომელიც მონიტორინგს გაუწევს დამკვეთის მიერ მოსაკრებლის გამოანგარიშების სისწორესა და მის გადახდას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, წინამდებარე ცვლილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს, ნაცვლად ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის მერისა, უხელმძღვანელებს ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, მერის პირველი მოადგილის ნაცვლად, განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

ბ) პროექტის საფინანსო–ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) პროექტის ავტორ(ებ)ი:

პროექტის ავტორია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ)პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.